პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 247 (6558)

1979 წ. 26 დეკემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებისა და სპორტსმენების წინასაახალწლო ნობათი სამშობლოს

ვადამდე!

საქართველოს სსრ ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მიერ 1979 წლის გეგმა-ვალდებულებათა შესრულება

დღეს რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობა განუყრელადაა დაკავშირებული რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის შემოქმედებითი აქტივობით აღსავსე ცხოვრებასთან. იგი მიმართულია სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფისაკენ. ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, საქართველოს სპორტსმენებიც ღრმა რწმენით ილვწიან, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნისტური საზოგადოების შენებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით გატარებულმა ღონისძიებებმა, იმ დიდმა ძვრებმა, რომლებიც უკანასკნელი 7 წლის მანძილზე მოხდა და დღესაც მიმდინარეობს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში, განაპირობეს ფიზკულტურული ორგანიზაციების საგრძნობი გააქტიურება.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები, ფიზკულტურელები, სპორტსმენები ამთავრებენ რა X ხუთწლედის მეოთხე წელს, სამშობლოს უპატაკებენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ყველა ძირითადი მაჩვენებლების ვადამდე შესრულებას.

	გეგმა	შესრულება
ფიზკულტურასა და სპორტში სისტემატურად მომეცადინეთა რაოდენობა	1.740.000	1.744.280
მშდ კომპლექსის ნიშნოსნები	483.700	484.350
მასობრივი თანრიგის სპორტსმენები	362.000	363.190
პირველთანრიგოსნები	5.882	5.990
სსრკ სპორტის ოსტატობის კანდიდატები	1.400	1.504
საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრები		
საზოგადოებრივი ინსტრუქტორები და მწვრთნელები	173.000	173.882
სპორტული მსაჯები	119.500	120.275

47-მა სპორტსმენმა შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ხოლო 338 სპორტსმენმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივი. გეგმები შესაბამისად ასეთია: 38 და 330.

71 სპორტსმენმა პირველად მოიპოვა საქართველოს სპორტის ოსტატის წოდება.

სეზონი დამთავრდა, მუშაობა გრძელდება

„ლელოს" ინტერვიუ

დამთავრდა ტურისტული სეზონი. ამასთან დაკავშირებით ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრნენ საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ხუციშვილი** და მოგზაურობისა და ექსკურსიების განყოფილების გამგე **ვ. ახვლედიანი.**

□

ნ. ხუციშვილი: შარშან მილიონამდე ტურისტსა და 11 მილიონ ექსკურსანტს მოვემსახურეთ. წლევანდელ სეზონში ეს ციფრი ერთი-ორად გაიზარდა. ვუმასპინძლეთ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან — კამჩატკიდან, სახალინიდან, ვოლგისპირეთიდან, ბალტიისპირეთიდან თუ ურალიდან ჩამოსულ სტუმრებს. ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთათვისაც მუშაობდა რამდენიმე ტურისტული მატარებელი, ავიაჯგუფებს ემსახურებოდა 4-5 საჰაერო რეისი. საქართველოს მშრომელებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებს, ისტორიულ ადგილებს, ღირსშესანიშნაობებს... ბევრი რამ გაკეთდა ტურისტებისა და ექსკურსანტების მომსახურების დონის ამაღლებისათვის. შეკეთდა სასტუმროები, ტურბაზები, მოეწყო სპორტული მოედნები, საცურაო აუზები. გარდა ამისა, წლევანდელ სეზონში დაიწყო მთელი რიგი ტურბაზებისა და სასტუმროების მშენებლობა. ტურისტული ბაზები შენდება გუდაუთაში, ოჩამჩირეში, ონში, ლენტეხში, ყაზბეგში, ავადხარაში და სხვა.

ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციები ყოველნაირად ცდილობენ აამაღლონ მშრომელთა მომსახურების დონე. ამჟამად საბჭო 86 სამეურნეო ორგანიზაციას აერთიანებს. წელს საბჭოს ტურისტთა და ექსკურსანტთა მომსახურებისთვის 54 მილიონი მანეთი ჰქონდა გამოყოფილი. გაისად ეს ციფრი 60 მილიონამდე გაიზრდება.

● **არცთუ ისე იშვიათად ტურისტები და ექსკურსანტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ მომსახურების სფეროში არსებულ ხარვეზებზე...**

ნ. ხუციშვილი: დამსვენებლები ზოგიერთ შემთხვევაში სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ. მიუხედავად გაწეული მუშაობისა, ტურისტებისა და ექსკურსანტების მომსახურების სფეროში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი, რომლებიც დროულად გამოსწორებას საჭიროებს. ტურისტული სეზონის დასაწყისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა საკითხი სეზონისთვის მზადებასთან დაკავშირებით და აღნიშნა მთელი რიგი ხარვეზები. მიეთითათ იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, რომლებიც თავიანთი მუშაობით ტურისტების მომსახურებასთან არიან დაკავშირებულნი. მდგომარეობა უნდა გამოსწორებულიყო, მაგრამ დარღვევებს წელსაც ჰქონდა ადგილი. ექსკურსანტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიმართ. ხშირი იყო შემთხვევა, როცა საექსკურსიოდ გვიყოფდნენ ძველ მატარებელს, არ იხსნებოდა ფანჯრები და ბუნებრივია, ყოველივე ეს ექსკურსანტების გულისწყრომას იწვევდა. სცოდავდნენ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს მუშაკებიც. ისინი არაკომფორტულ ავტობუსებს გვიგზავნიდნენ, ადგილი ჰქონდა ტრანსპორტის დაგვიანების შემთხვევებსაც. უფრო მეტი გულისხმიერება მართებთ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის მუშაკებსაც. გაუმჯობესებას მოითხოვს ტურისტების ბოსტნეულითა და რძის პროდუქტებით მომარაგების საქმე...

● **რას გვეტყვით ტურბაზებისა და სასტუმროების მშენებლობაზე, სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაზე?**

ნ. ხუციშვილი: ტურისტული სეზონის დასაწყისში გაზეთი „პრავდა" მოწინავე სტატიაში წერდა, რომ სამშენებლო ორგანიზაციები ხშირად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საქმეს და უხეიროდ ასრულებენ სამუშაოს. სამართლიანი კრიტიკა იყო. მშენებელთა უპასუხისმგებლობის ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება: წლების მანძილზე შენდება გუდაუთისა და ოჩამჩირის ტურისტული ბაზები, სადაც მშენებლობას ბზიფის სახლმშენებელი კომბინატი (მმართველი რ. ხარჩილავა) აწარმოებს. საქ. მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო ტრესტის (მმართველი ვ. ჭურაძე) მესვეურთა უპასუხისმგებლობის გამო უკვე 15 წელია ყაზბეგის ტურბაზა შენდება. სამწუხაროა, მაგრამ ყოველწლიურად ამ ობიექტის შესახებ გვაქვს საუბარი. მშენებლები გვპირდებიან, რომ 1980 წლისთვის დაამთავრებენ ტურბაზის მშენებლობას და ექსპლუატაციაში გადასცემენ ყაზბეგის „სამების" ტაძართან დამაკავშირებელ საბაგირო გზასთან ერთად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბოლოსდაბოლოს დაპირებას საქმეც მოჰყვება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორი წელია მიმდინარეობს ბაკურიანის ტურბაზის რემონტი, სადაც სამუშაოებს ასრულებს „საქკურორტმშენის" ბორჯომის სამშენებლო სამმართველო (უფროსი თ. არუცევი). მშენებლობის ხელმძღვანელთა დაპირებები დაპირებებად რჩება, ტურბაზა კი წლევანდელ ზამთრის სეზონშიც ვერ მიიღებს ტურისტებს. გვპირდებიან, რომ 1980 წლისთვის პირველ ექსკურსანტებს მიიღებს ვარძიის ტურბაზა.

ჩვენი სისტემის მუშაკთა თხოვნა იქნება, რომ მშენებლები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ საქმეს, ნუ გააჭიანურებენ მშენებლობას და სამუშაოები შეასრულონ ხარისხიანად.

● **წლევანდელ ტურისტულ სეზონში თუ იყო სიახლეები ექსკურსიამძღოლების მომზადებისა და გადამზადების საქმეში?**

ვ. ახვლედიანი: ჩვეულებისამებრ მუშაობდა სპეციალური სკოლა-სემინარი, სადაც კვალიფიკაციას იმაღლებდნენ ექსკურსიამძღოლები. საფუძვლიანად გადახალისდა საექსკურსიო ტექსტები. ზაფხულის პერიოდში დახმარებას გვიწევდნენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც. წინა წლებთან შედარებით ექსკურსიამძღოლების მომზადების დონე საგრძნობლად გაიზარდა.

● **შარშან თქვენმა კოლექტივმა უდიდესი წარმატება მოიპოვა — ზედიზედ მეხუთედ დაიმსახურა საკავშირო პროფსაბჭოსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების გარდამავალი წითელი დროშა...**

ნ. ხუციშვილი: წარმატება უდავოდ დიდი იყო, მაგრამ იგი სრულიადაც არ გვაძლევდა დამშვიდების უფლებას, პირიქით, უფრო მეტის გაკეთებას გვავალებდა. წელს ჩვენი კოლექტივის წინაშე გაზრდილი ამოცანები იდგა და უფრო მეტი ენერგიითა და მონდომებით განვაგრძობდით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მივაღწიეთ თუ არა წარმატებებს? ამას ტურისტული სეზონის საფუძვლიანი ანალიზი გვიჩვენებს.

● **საინტერესოა, რა სიახლეები იყო ტურიზმის რეკლამის მხრივ?**

ნ. ხუციშვილი: ჩვენი რესპუბლიკა ტურისტთა გამტარუნარიანობით სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ მოწინავედ მთელს კავშირში. ყოველწლიურად ინტენსიურად იზრდება სტუმართა რაოდენობა და ტურიზმის მასშტაბები. ფართოვდება და იხვეწება თვითმოქმედ ტურისტთა მომსახურება. ყოველივე ამაში, ცხადია, დიდ როლს თამაშობს ტურისტული რეკლამა. კინოსტუდიებში შექმნილი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები მაყურებელს აცნობს ჩვენი რესპუბლიკის ტურისტულ მარშრუტებს, თვალწარმტაც ბუნებას,

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *

სურათებზე: **ტურისტებს ხშირად ამგვარად უხდებათ მთის მდინარეების გადალახვა; ბუნების საოცრება — „აქლემი", ოქროჭანაშვილის სახელობის მღვიმის პირველ დარბაზში.**

ვ. სატალკინისა და ს. ბარნოვის ფოტოები.

პანორამა

● ბიატლონი

უშეცდომოდ

ავსტრიის ქალაქ ჰოჰფილცენში ათი ქვეყნის 105 „მსროლელი მოთხილამურე" იბრძოდა ბიატლონისტთა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში. ეს იყო ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის წინ ძალების მორიგი შემოწმება. უკვე გამოვლინდა 10 კმ-ზე ასპარეზობაში გამარჯვებული. ეს არის გორკელი ოლიმპიური ჩემპიონი ნ. კრუგლოვი, რომელმაც ეს მანძილი 35 წუთსა და 20 წამში ისე გაირბინა, რომ სამიზნისთვის ტყვია არ დაუცილებია. II ადგილი დაიკავა პერმელმა ვ. ალიკინმა. მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი კ. ზიბერტი (გფრ) ფინიშთან III იყო — 35.59 (1).

● ტრამპლინიდან ხტომა

ნაკრები დაკომპლექტდა

ტრადიციულ საახალწლო ოთხი ტრამპლინის ტურნირში მონაწილე საბჭოთა გუნდის წევრთა შესარჩევად ნიჟნი-ტაგილის, სვერდლოვსკისა და გორკის ტრამპლინებზე გაიმართა ასპარეზობანი. მათი შედეგების მიხედვით ქვეყნის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. უსკოვმა დაასახელა უძლიერესნი. ესენია ა. ბოროვიტინი, ვ. სავინი, ი. ივანოვი, ს. საიჩიკი, ვ. ვლასოვი, ვ. ჩერნაევი, ა. ოპარინი და პ. სუნინი. ოთხი ტრამპლინის საახალწლო ტურნირის (გფრ, ავსტრია) შემდეგ მათგან შეარჩევენ მათ, ვინც ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიადაში ქვეყნის ღირსებას დაიცავს.

საკავშირო შეჯიბრების უკანასკნელი ეტაპი გორკის 90-მეტრიან ტრამპლინზე ჩატარდა. ბოროვიტინმა (გორკი) 239,3 ქულა მოაგროვა (ნახტომები 105,5 და 100 მ) და პირველობა მოიგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ნ. კორობოვი (ალმა-ათა) — 235,6 (106 და 101,5) და ს. საიჩიკი (ლენინგრადი) — 224,2 (102 და 97 მ).

● ფიგურული ციგურაობა

უძლიერესთა მონაწილეობით

ლენინგრადი. ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ფიგურისტები შეიკრიბნენ სპორტის სასახლე „საიუბილეოში" დაწყებულ შეჯიბრებაზე. აქ უნდა გაირკვეს სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა, რომელიც ერთი თვის შემდეგ გამოვა ევროპის ჩემპიონატზე ფიგურულ ციგურაობაში გეტებორგში, ხოლო შემდეგ იასპარეზებს ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიადაზე.

დიდ ინტერესს იწვევს გამოჩენილი წყვილების ი. როდნინასა და ა. ზაიცევის, აგრეთვე, ნ. ლინიჩუკისა და გ. კარპონოსოვის მონაწილეობა შეჯიბრებაში.

პირველად ყინულზე გამოვიდნენ ვაჟები. 3 სავალდებულო ფიგურის შემდეგ წინაა მსოფლიო ჩემპიონი ვ. კოვალიოვი.

იუნიორთა შორის დაწინაურდა ა. ფადეევი — 39,64 ქულა.

გუშინ საღამოს მიმდინარეობდა სპორტული წყვილების გამოსვლა მოკლე პროგრამით.

მიძღვნა ბავშვის საერთაშორისო წელს

მიზანი მიღწეულია

„ლელოს“ კონკურსი

ბავშვის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილ „ლელოს“ საჭადრაკო კონკურს-ვიქტორინამ, რომელიც გაზეთის 9 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა, საქართველოს ნორჩ მოჭადრაკეთა დიდი ინტერესი გამოიწვია — ასპარეზობაში 300-ზე მეტი ყმაწვილი და გოგონა ჩაება.

კონკურს-ვიქტორინას მთავარი მიზანი იყო მონაწილეთა საჭადრაკო ლიტერატურასთან დაახლოება (წიგნებში ჩაუხედავად შეუძლებელი იყო კითხვებზე პასუხის გაცემა) და საჭადრაკო პოზიციის ანალიზში გაწვრთნა. ნორჩ მოჭადრაკეთა წერილებიდან ჩანს, რომ ამოცანა მიღწეულ იქნა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ნორჩმა ამომხსნელებმა ჭადრაკის ისტორიის კარგი ცოდნა და თანრიგოსანი მოჭადრაკის პრაქტიკული ძალა გამოავლინეს.

მონაწილეთა უმრავლესობამ ამომწურავი პასუხები გამოაგზავნა. მაგრამ ზოგიერთი, მაგალითად, ეტიუდის ან სამსვლიანი ამოცანის ამოხსნის მხოლოდ პირველი სვლის შეტყობინებას დასჯერდა. რა თქმა უნდა, ასეთ მონაწილეებს მოცემულობა ამოხსნილად არ ჩაეთვალათ.

როგორც ცნობილია, კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდებოდა ის 20 მონაწილე, რომელნიც ქულათა მეტ რაოდენობას (მაქსიმუმი იყო 114 ქულა) დააგროვებდნენ.

აი, „ლელოს“ კონკურსში გამარჯვებულნი:

ლალი ბოჭორიშვილი (წყალტუბო, სოფ. გვიშტიბი), **დავით ხიზანიშვილი** (თბილისი), **კობა შავგულიძე** (ქუთაისი) — 108-108 ქულა, **ფოთის** ნორჩ მოჭადრაკეთა კოლექტივი (თემურ წადარაია, ხათუნა მინასოვა, გელა ღვამბერია, ირაკლი შონია) — 103, **გიორგი ბუხრაშვილი, ლალი მუსტოიანი** (ორივე — თბილისი) — 102-102, **თამარ კერესელიძე, მირონ ნაზარეტიანი** (ორივე — თბილისი) — 100-100, **ოლეგ წურწუმია** ((ჩხოროწყუს რ-ნი, სოფ. ლეწურწუმე), **კარენ ბოიახჩიანი** (გორი) — 99-99, **და-ძმა** (თეა, ვახტანგ) **ენდელაძეები** — 98, **მაია ხუციშვილი** (სამივე — თბილისი), **მიხეილ კობახიძე** (ტყიბული) — 97-97, **ძმები** (ვასილ, პაატა) **ვაშაკიძეები**— 94, **ავთანდილ მამულაშვილი** (ყველა — თბილისი) — 91, **რევაზ კობახიძე** (ამბროლაურის რ-ნი, სოფ. ნიკორწმინდა), **არჩილ ლურსმანაშვილი** (ხაშურის რ-ნი, სოფ. გომი) — 89-89, **მევლუდ ბარდაველიძე** (თერჯოლის რ-ნი, სოფ. ეწერი) — 76, **მაია ბარბაქაძე** (თბილისი) —75, **ზაქარია ბატიაშვილი** (ლაგოდეხი) — 64.

ზემოდასახელებული გამარჯვებულნი დაჯილდოვდნენ საჭადრაკო ლიტერატურით. კონკურსის პირობების შესაბამისად, ზამთრის არდადეგების პერიოდში (სამშაბათს, 8 იანვარს) ყველას ვიწვევთ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში მსოფლიო ჩემპიონ, დიდოსტატ მაია ჩიბურდანიძის ერთდროული თამაშის სეანსში მონაწილეობის მისაღებად (დასაწყისი 12 ს.).

გილოცავთ გამარჯვებას და კონკურს-ვიქტორინის ყველა მონაწილეს გიძღვნით მადლობას.

თ. გიორგაძე,
კონკურს-ვიქტორინის მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

შეამოწმეთ თქვენი პასუხები

1. ვაჟთა პირველი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა ლონდონში 1851 წელს.

2. ჩატურანგასა და შატრანჯს შორის ის არსებითი განსხვავებაა, რომ პირველში თამაშის ბედს კამათელი განსაზღვრავდა, მეორეში კი მოჭადრაკის აზროვნება.

3. პირველი საჭადრაკო ჟურნალი „პალამედი“ გამოიცა პარიზში 1836 წ.

4. ჭადრაკის ქალღმერთი კაისა ინგლისელი ორიენტალისტის უ. ჯონსის (1746-1794 წწ.) ფანტაზიის ნაყოფია. მან ჭადრაკის წარმოშობის შესახებ დაწერილ პოემაში შექმნა ლამაზი ფერია კაისა, რომლის გული ჭადრაკის საიდუმლოებამ მოინადირა.

5. ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატისა და ოსტატის წოდებები ფიდე-მ შემოიღო 1949-1950 წწ.

6. ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე ყველაზე ხანგრძლივი იყო ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩი, რომელიც ზუსტად სამ თვეს გაგრძელდა (ბაგიო, 18 ივლისი — 18 ოქტომბერი, 1978 წ.).

7. ბავშვობაში (1925 წლის 20 ნოემბერს) მ. ბოტვინიკმა მოუგო ხ. კაპაბლანკას ერთდროული თამაშის სეანსში.

8. ვაჟთა მსოფლიო პირველობაში ხ. კაპაბლანკამ ისე მოუგო მატჩი მსოფლიო ჩემპიონ ე. ლასკერს (ჰავანა, 1921 წ.), რომ პარტია არ წაუგია (+4—0=10).

9. სიტყვები „სამგზის ვაშა, ახალ მსოფლიო ჩემპიონს!“ წარმოთქვა ვ. სტეინიცმა ე. ლასკერთან პირველ მატჩში (1894 წ.) დამარცხებისას.

10. ყველაზე მეტი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ითამაშა ე. ლასკერმა — 8 მატჩი.

11. პირველი ქართველი ოსტატია ვ. გოგლიძე, პირველი დიდოსტატი — ბ. გურგენიძე.

12. საქართველოს ვაჟთა I ჩემპიონატი ჩატარდა 1928 წელს თბილისში.

13. ქართულ ენაზე პირველი წიგნი ჭადრაკზე (მოკლე სახელმძღვანელო) გამოსცა ჟურნალისტმა მ. საყვარელიძემ 1926 წელს.

14. თბილისმა პირველად სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატს უმასპინძლა 1937 წელს. ეს იყო X ჩემპიონატი.

15. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატებში მსოფლიო ჩემპიონებიდან მონაწილეობა მიუღიათ ტ. პეტროსიანს (1944, 1945, 1946, წწ.) და მ. ტალს (1971 წ.).

16. ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ ვ. მენჩიკი (1927-1944 წწ.), ლ. რუდენკო (1950-1953 წწ.), ე. ბიკოვა (1953-1956, 1958-1962 წწ.), ო. რუბცოვა (1956-1958 წწ.), ნ. გაფრინდაშვილი (1962-1978 წწ.); 1978 წლიდან მ. ჩიბურდანიძეა ჩემპიონი.

17. ნ. გაფრინდაშვილმა ყველა მეტოქე დაამარცხა შემდეგ საერთაშორისო ტურნირებში: ბევერვეიკში (ჰოლანდია) 1963 წელს— 9, ბელგრადში (იუგოსლავია) 1971 წელს — 13 და ტიმიშოარაში (რუმინეთი) 1975 წელს — 13.

18. ქალთა შორის სსრ კავშირისა და საერთაშორისო დიდოსტატის წოდებები აქვთ მხოლოდ მ. ჩიბურდანიძესა და ნ. გაფრინდაშვილს.

19. ქართველ მოჭადრაკეთაგან სსრ კავშირის ქალთა შორის ჩემპიონი ყველაზე მეტჯერ იყო ნ. ალექსანდრია — სამჯერ — 1966, 1968, 1969 წლებში.

20. სსრ კავშირის ქალთა I ჩემპიონატი გაიმართა 1927 წელს მოსკოვში (გაიმარჯვა ო. რუბცოვამ).

21. საბჭოთა საეტიუდო ხელოვნების ფუძემდებელია რსფსრ-ს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სპორტის ოსტატი ა. ტროიცკი (1866-1942 წწ.).

22. საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მინიჭებული აქვთ საბჭოთა კომპოზიტორებს ი. ლოშინსკის, ჰ. კასპარიანს, ვ. ბრონს, ვ. კოროლკოვს.

23. მინიატურაა ამოცანა ან ეტიუდი, რომლის საწყის მდგომარეობაში ფიგურების რაოდენობა შვიდს არ აღემატება.

24. საჭადრაკო კომპოზიციაში ერთობლივი ნაწარმოებების შექმნით ცნობილი არიან ძმები არვიდ, ევგენი, ლეონიდ კუბელები, ალექსანდრე, კონსტანტინე სარიჩევები, იანის, კარლ ბეტინშები, ვასილ, მიხეილ პლატოვები.

25. ამოცანასა და ეტიუდს შორის ის განსხვავებაა, რომ ამოცანაში ზუსტადაა მითითებული, რამდენ სვლაში უნდა გამოცხადდეს შამათი, ეტიუდში კი მოგებისა თუ ყაიმის მიღწევა არ არის შემოფარგლული სვლების რაოდენობით.

ამოცანა № 1. გ. ლატცელი. 1. მg5.

ამოცანა № 2. ვ. რუდენკო. 1. ლd6

ამოცანა № 3. ვ. გოლუბენკო. 1. კg6. 1. ...მფe1 2. ლc3+.

ამოცანა № 4. კ. კიპინგი. 1. ლh1. 1. ...ლ:h1+ 2. ე:h1; 1. ...ლe1+ 2. მფg2.

ამოცანა № 5. ი. მატისონი, კ. ბეტინში. 1. კg8. 1. ...ე:b3+ 2. კ:b3 gf 3. ეg7; 1. ...ეa2 2. f7+ მფd5 3. ეd6+.

ეტიუდი № 1. ლ. ვან ფლიტი. 1. ლb4 ლf3 2. ლa4+ მფb6 3. ლb3+ ლ:b3 4. b8ლ+.

ეტიუდი № 2. რ. ბიანკეტი. 1. კb2. 1. ...ეf8 2. ეc7+მფg8 3. ეg7+მფh8 4. მფa2. 1. ...ეh6 2. ეg3+ მფh7. 3. ეg7+ მფh8 4. მფb1.

ეტიუდი № 3. ა. ნეიშტადლი. 1. კh5 მფg3 2. კ:g6 მფf4 3. h7 ეc8 (3. ...ეc3+ 4. მფb4 ეh3 5. კh5 ე:h5 6. g6 მოგებით!). 4. კe8 ე:e8 5. g6 მოგებით.

ეტიუდი № 4. ტ. გორგიევი. 1. კf6+ მფh7 2. ეg7+ მფh6 3. ეf7 მფg6 4. ეf8 მc6 5. კ:d8 მფg7 6. ეe8 მფf7 7. ეh8 მფg7 8. კf6+ მფ:f6 9. ეh6+ მოგებით.

ეტიუდი № 5. გ. გუებანი. 1. ეa8+ მფh7 2. ე:h8+ მფ:h8 3. ეc8+ მფh7 4. g6+ მფ:g6 5. კ:h5+ მფ:h5 6. ეh8+ მფg6 7. h5×, თუ 4. ...ლ:g6, მაშინ 5. კc2.

პოზიცია № 1. ვლკი — დურასი, 1899 წ. 1. ...ეb1+ 2. მფ:b1 (2. მფd2 ე:f2+ 3. კ.:f2 კc3+ 4. მფ:c3 ლb4X; 4. მფe3 d4X) 2. ...ეb6+ 3. მფc1 (3. კ:b6 ლb4+ 4. მფc1 კb2+ 5. მფb1 კc3 6. მფc1 ლb2×) 3. ...კb2+ 4. მფb1 კc3+ 5. მფc1 ეb1+ 6. მფ:b1 ლb4+ 7. მფc1 ლb2×.

პოზიცია № 2. რაშკოვ — გორდეევი, 1972 წ. 1. ე:d6 მ:c4. 2. ეh6+ მფ:h6 3. ლh8+ მფg5 4. კe4 ლh7 5. h4+ მფg4 6. ლd8 და 7. ლg5X

პოზიცია № 3 ვ. სტეინიცის პარტიიდან. 1. ეd8+ ლ:d8 2. ლe6+ მფh7 3. ე:h6+ gh 4. ლf7X

პოზიცია № 4. ხონფი — ბარცაი, 1977 წ. 1. ...ე:c4 2. ლ:c4 ლ:b2+ 3. ე:b2 მa3+ 4. მფc1 კ:b2+5. მფ:b2 მ:c4+ 6. მფc3 ე:e4 და შავები იგებენ.

პოზიცია № 5. ედერ-მარტეი, 1971 წ. 1. კf6+ მფd6 (1. ...მფ:f6 2. ლe6+ მფg7 3. ლ:d7+) 2. კe5+ შავები დანებდნენ, რადგან 2. ...მფ:e5 3. ლe6+ მფd4 4. ლ:d7+ მფe5 5. ლe6+ მფd4 6. ლd6+-ის შემდეგ ლაზიერების გაცვლა გარდაუვალია. აგებდა აგრეთვე 2. ... მფc6 3. ლc8+ის გამო.

ასპარეზობენ რუსთაველი მოსწავლეები

გაიმართა რუსთავის მოსწავლეთა საშემოდგომო მძლეოსნური კროსი, რომელიც ბავშვის საერთაშორისო წელს მიეძღვნა. გუნდებს 5-5 გოგონა და ამდენივე ბიჭი გამოჰყავდათ. ამასთან, ყველა სკოლას შეეძლო მონაწილეთა განუსაზღვრელი რაოდენობით ესპარეზა. ჩათვლაში 30 საუკეთესო შედეგი შედიოდა.

13-14 წლის მოზარდთა შორის ყველას აჯობა № 3 საშუალო სკოლის ნაკრებმა. 14-15 და 16-18 წლის მძლეოსნებში პირველობა არავის დაუთმეს № 19 სკოლის აღსაზრდელებმა. ამ სკოლის გუნდმა (ფიზკულტურის მასწავლებელი მ. თოროზაშვილი) გაიმარჯვა საერთო გუნდურ ჩათვლაში. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ № 3 და № 4 სკოლების კოლექტივები.

* * *

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.

რ. გაბრიჭიძის
ტექსტი და ფოტოები.

ჰორიზონტზეა ლეიკ-პლესიდი

XIII OLYMPIC WINTER GAMES LAKE PLACID 1980

●

და-ძმა უჭევს

ამერიკელი მოციგურავეები „თეთრი ოლიმპიადისათვის“ მზადების ნიშნით უესტ-ალისას საციგურაოზე ეჯიბრებიან ერთმანეთს საგზურებისათვის, რომლებმაც მათ ლეიკ-პლესიდში გამოსვლის უფლება უნდა მისცეს. შესანიშნავად ასპარეზობენ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონები და-ძმა ჰაიდენები. 19 წლის ბეტმა ქალთა შორის ოთხივე დისტანციაზე იმარჯვა. მანვე 1000 მეტრზე შეჯიბრებაში დაბლობის საციგურაოებისათვის მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 1. 27,57.

21 წლის ერიკი მსოფლიოს 8-გზის ჩემპიონია იუნიორთა და ვაჟთა შეჯიბრებაში. მას პ. მიულერის სახით (იგი ინსბრუკის ოლიმპიადის ჩემპიონია) ძლიერი მეტოქე ჰყავს სპრინტში, მაგრამ ჰაიდენმა მაინც იმარჯვა — 38,21 და მეტოქე 0,43 წამით ჩამოიტოვა. ჰაიდენმა მოიგო 1500 მეტრზე რბენა, მერე კი 5000 მეტრზე 11 წამით გააუმჯობესა საციგურაოს რეკორდი — 7.09,08 აჩვენა.

●

შეწყვეტილი ტურნირი

მსოფლიო თასებისათვის მებრძოლმა სამთო მოთხილამურეებმა ავსტრიის ტრასებზე გადაინაცვლეს. ქალები ცელერზეში 2320-მეტრიან სწრაფდაშვების ტრასაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. შვეიცარიელმა მ. ტ. ნადიგმა კვლავ დაამტკიცა, რომ იგი ამ სახეობაში წლეულს შესანიშნავად მომზადებულა: მესამედ მოიგო შეჯიბრება — 1.30,56. ყველასთვის მოულოდნელად II ადგილზე გავიდა ი. შოლტისოვა (ჩეხოსლოვაკია) — 1.31,06. მსოფლიო თასის ექვსგზის მფლობელი ავსტრიელი ა. მოზერ-პრიოლი III აღმოჩნდა — 1.31,11.

ამ ეტაპის შემდეგ 125 ქულით ტურნირს სათავეში ისევ ნადიგი მოექცა. იგი ქულით ასწრებს პრიოლს, რომელსაც ჰ. ვენცელი (ლიხტენშტეინი) ასევე ქულით ჩამორჩება.

ვაჟები შლადმინგში შეიკრიბნენ. ამინდის ჭირვეულობამ ორგანიზატორები საგონებელში ჩააგდო, მაგრამ მაინც გადაწყდა შეჯიბრების ჩატარება. სტარტის აღება მხოლოდ 28 მონაწილემ მოახერხა. მათ შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა კანადელ ს. პოდბორსკის — 1.59,28. შემდეგ უამინდობის გამო 3350-მეტრიან სწრაფდაშვების ტრასაზე ასპარეზობა შეწყდა და შედეგები გაუქმდა.

●

ორმოცდამეოთხედ

მოსკოვში, პლანიორნაიას მიდამოებში დამთავრდა მოთხილამურეთა 44-ე ტრადიციული შეჯიბრება ესტაფეტებში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. ქალთა შორის 3X3 კმ-ზე, ვაჟების 4X5 კმ-ზე და იუნიორების 3X5 კმ-ზე ესტაფეტებში დინამოელებმა იმარჯვეს, ხოლო გოგონების დავა 3X3 კმ-ზე დამთავრდა „ბურევესტნიკის“ უპირატესობით.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა. საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების წევრები ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ.

სეზონი დამთავრდა, მუშაობა გრძელდება

დასასრული

სოფლებსა და ქალაქებს... ეს ერთგვარად ზრდის საქართველოთი დაინტერესებულთა რაოდენობას. წელს მასობრივად გაიყიდა მაღალი გემოვნებით შესრულებული საქართველოს ტურისტული რუკა. იგი დახმარებას გაუწევს როგორც უცხოელ, ისე საბჭოთა ტურისტებსა და ექსკურსანტებს. გამოიცა სხვადასხვა სახის ბუკლეტები, ღია ბარათები... სიახლეები, როგორც ხედავთ, საკმაოდ იყო, მაგრამ, ვფიქრობთ, მეტის გაკეთება შეიძლება. ახალ სეზონში გადაწყვეტილი გვაქვს სარეკლამო სტენდების მოწყობა აეროპორტში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვადასხვა ადგილებში.

● **ჩვენი გაზეთის მკითხველებს აინტერესებთ, თუ საქართველოში რატომ არაა განვითარებული ზამთრის ტურიზმი?**

ვ. ახვლედიანი: სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ზამთრის ტურიზმი საერთოდ არაა დამკვიდრებული. არადა, ზამთრის ტურიზმის განვითარების შესანიშნავი ბუნებრივი პირობები გვაქვს. ზამთრის ტურიზმი ფრიად სასარგებლოა მშრომელთა ჯანმრთელობის გასაკაჟებლად, აქტიური დასვენებისთვის. ზამთარში დამსვენებლებს ოფიციალურად მხოლოდ ბაკურიანის ბაზა ემსახურება და, რაღა თქმა უნდა, იგი ვერ აკმაყოფილებს იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებსაც ტურისტები გვიყენებენ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელებს. ზემოთ ნოდარ ხუციშვილმა ბაკურიანის ტურბაზის შესახებ მოგახსენათ, რომ ამ ზამთარსაც ვერ მიიღებს იგი დამსვენებლებს მშენებელთა უპასუხისმგებლობის გამო. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ჩვენც არ გვამართლებს. ამ მხრივ მეტის გაკეთება გვმართებს და ვეცდებით მომავალში შედარებით მაინც გამოსწორდეს მდგომარეობა. აქვე მინდა აღვნიშნო თვითმოქმედ ტურისტთა მომსახურების საკითხი. წლეულს საგრძნობლად გაუმჯობესდა მათი მომსახურეობა, გაიხსნა ახალი მარშრუტები, თუმცა ყველაფერი რიგზე არ არის და ჩვენი კოლექტივის წევრებს დაძაბული მუშაობა მოუწევთ თვითმოქმედ ტურისტთა მომსახურების დონის ამაღლებისათვის.

● **საინტერესოა, როგორ ემზადებით მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშებიდან ჩამოსული სტუმრების დასახვედრად.**

ვ. ახვლედიანი: მომავალი სეზონი გაზრდილი ამოცანების წინაშე გვაყენებს, რადგან გაისად ჩვენს ქვეყანაში დიდი სპორტული ფორუმი — მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები გაიმართება. გათვალისწინებულია, რომ 1980 წლის ივლის-აგვისტოში ოლიმპიადის სტუმრები საქართველოსაც ეწვევიან. მათ უმასპინძლებს თბილისის სასტუმრო „ვაკე“, რომელიც საფუძვლიანად შეკეთდა, სოხუმის სასტუმრო „სოხუმი“ და „საკავშირო ალკკ XV ყრილობის“ სახელობის ტურბაზა, გორისა და ქუთაისის კემპინგები. დიდი მუშაობა მიმდინარეობს გამყოლთა შერჩევისა და მომზადებისთვის, ვადგენთ საექსკურსიო მარშრუტებს უცხოელი და საბჭოთა ტურისტებისთვის. ისინი დაათვალიერებენ რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს, საწარმოო დაწესებულებებს, გაეცნობიან ქართველ სპორტსმენებსა და მოწინავე მშრომელებს, სტუდენტობას. უცხოელი ტურისტებისთვის გათვალისწინებული გვაქვს ფეხით ლაშქრობებიც. მარშრუტები მეტად საინტერესო შეირჩევა.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ მომავალ სეზონში ჩვენს ტურისტებსა და ექსკურსანტებს შესაძლებლობა ექნებათ ესტუმრნონ კამჩატკას, ვოლგისპირეთს, ასევე მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს, მინსკს, ოდესას, სევასტოპოლს და სხვა. 1980 წლის მარშრუტებიდან ყველაზე საინტერესო იქნება თბილისი — ნიაგრუზინსკაია. ექსკურსანტები გაეცნობიან ქართველ ბამელებს, მათ შრომით საქმიანობას.

წლევანდელი ტურისტული სეზონი დასრულდა. ჩვენი კოლექტივის წევრები კი დაძაბულ მუშაობას განაგრძობენ, რადგან მომავალი სეზონის სანიმუშოდ წარმართვას საფუძველი სწორედ ახლა ეყრება. ვცდილობთ, პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებები.

საუბარი ჩაიწერა
ლ. კვირიკაშვილმა.

გვიხმობს
მშობლიური
მთა-გარი

ტურისტის გვერდი
№8 (32)

სპელეოლოგთა კონფერენციაზე...

ამას წინათ ჩელიაბინსკში ჩატარდა სპელეოლოგთა მესამე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ კორკინოს, მიასის, ზლატოუსტის, მაგნიტოგორსკის, სატკას, სვერდლოვსკის, უფისა და თბილისის სპელეოლოგიური კომისიები. კონფერენციის თემა იყო სპელეოლოგიური კომისიებისა და სექციების მუშაობის ორგანიზაცია; სპელეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია; საძიებო სპელეოლოგიური ექსპედიციების შედეგები; უახლესი სპელეოლოგიური საჭურველი; მღვიმეებისა და უფსკრულების კვლევის მეთოდიკა და ტაქტიკა. აქვე მოეწყო თვითნაკეთი სპელეოლოგიური საჭურველის დათვალიერება-კონკურსი. გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

წლეულს ჩელიაბინსკელი სპელეოლოგები საქართველოში იყვნენ და ასხის მასივზე დაზვერვითი ხასიათის სამუშაოებს ატარებდნენ. ამ ექსპედიციის შედეგებს მიეძღვნა ექსპედიციის ხელმძღვანელის ე. საბერენკოვის მოხსენება.

თბილისელთა მოხსენების თემა იყო სპელეოლოგიური კვლევის პერსპექტივები საქართველოში.

კონფერენციაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი სპელეოლოგიური კვლევისას მოპოვებული ორიგინალური ფოტოგამოფენა. დიდი ინტერესი გამოიწვია ექსპოზიციამ „საქართველო-ფოტო-79“, რომელიც სათაფლიას, სოლკოტას, თეთრას, აბრსკილის, ა. ოქროჯანაშვილის სახელობის ახალი ათონისა და სხვა მღვიმეების მიწისქვეშა პეიზაჟებს ასახავდა. ამის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ჩელიაბინსკის ოლქის სპელეოლოგიური კომისიის თავმჯდომარემ ს. ბარანოვამ.

ჯ. ჯიშკარიანი,
საქართველოს სსრ ტურიზმის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

* * *

სურათზე: ა. ოქროჯანაშვილის სახელობის მღვიმის პირველი დარბაზი.

ა. ზაიცევის ფოტო.

„სუპერმარათონი-80“

დადგა წლევანდელი ტურისტული სეზონის მუშაობის შეჯამების ჟამი. ჩვენი რესპუბლიკის ტურისტებისთვის იგი საკმაოდ შედეგიანი იყო. ჩატარდა სხვადასხვა სირთულის ათობით მოგზაურობა, დაილაშქრა ახალი მარშრუტები და უღელტეხილები...

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ტურისტული მუშაობის აღორძინება თბილისის უნივერსიტეტში. მათგან ერთდროულად სტუდენტთა ორმა ჯგუფმა იმოგზაურა თრიალეთის ქედზე ი. ელისეევისა და ო. რუდოის ხელმძღვანელობით.

რესპუბლიკის ტურისტთა მოგზაურობის გეოგრაფია ყოველწლიურად ფართოვდება. საინტერესო მოგზაურობა ჩაატარეს სპარტაკელმა ტურისტებმა, რომლებსაც ა. უთარაშვილი ხელმძღვანელობდა.

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ტარდება საკავშირო შეჯიბრება საუკეთესო სპორტულ ტურისტულ მოგზაურობაზე. წლეულს ჩვენი რესპუბლიკის ორი გუნდი გამოვიდა საკავშირო პირველობის სტარტზე. უმაღლესი — მე-5 კატეგორიის სირთულის მარშრუტი გაიარა ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ჯგუფმა, რომელსაც ვ. სატალკინი ხელმძღვანელობდა. მარშრუტში ჩართული იყო ცენტრალური კავკასიონის ერთ-ერთი რთული უღელტეხილი—შოვი — აღმოსავლეთ ყარაუგომი. მათ გზაზე ელობებოდა ციცაბო ყინულოვანი ფერდობები და ყინულვარდნილები, მაგრამ ტექნიკურად და ტაქტიკურად კარგად მომზადებულმა ჯგუფმა წარმატებით განვლო მარშრუტი.

იმავე პერიოდში შეჯიბრებაში ჩაება მეორე ჯგუფი ვ. ბისტროვის ხელმძღვანელობით. „განთიადის“ სპორტკლუბ „ფეიქარის“ ტურისტებით დაკომპლექტებულმა ჯგუფმა მრავალდღიან მოგზაურობაში, რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მთელი რიგი რთული უღელტეხილები გადალახა, მათ შორის ისეთებიც, სადაც იშვიათად ხვდებიან ტურისტულ ჯგუფებს — ჩრდილო და აღმოსავლეთი ედენა, სტანისლავსკის უღელტეხილი და სხვ. მოლაშქრეებმა ზოგიერთ უღელტეხილზე 5-6 წლის წინათ დატოვებული წერილი მოხსნეს, ხოლო 4000 მეტრზე მაღლა მდებარე „სპორტკლუბ ლენინგრადის უნივერსიტეტის“ უღელტეხილი საერთოდ მესამედ გაიარეს მთელი საბჭოთა ტურიზმის ისტორიის მანძილზე.

იმედია, ჩვენი ტურისტები ახლო მომავალში ახალ რაიონებს აითვისებენ პამირზე, ტიან-შანზე, ალტაის მხარეში. საამისოდ უკვე მყარი საფუძველი არსებობს — სპორტსმენებს დიდი გამოცდილება დაუგროვდათ.

მომავალი ოლიმპიადის წლისთვის საქართველოს ტურისტები დიდი ხნის ოცნების განსახორციელებლად ემზადებიან: მათ განზრახული აქვთ ცენტრალურ კავკასიონზე გაიარონ ყაზბეგიდან იალბუზამდე. იდეა, რომ ეს ორი უმაღლესი და ულამაზესი მწვერვალი ერთიანი მარშრუტით იქნეს დაკავშირებული — ჯერ კიდევ 1976 წელს ჩაისახა. მას შემდეგ ჩვენი ტურისტები გულმოდგინედ ემზადებიან ამ მოგზაურობისთვის. უკან დარჩა ასობით ძნელი კილომეტრები კავკასიის მთებში, ათობით დალაშქრული უღელტეხილები, ყინვარები, ქედები. წლევანდელი სპორტული მოგზაურობები „სუპერმარათონ 80“-ის ერთ-ერთ ეტაპად იქცა (ასე უწოდებენ პირობითად მომავალ მოგზაურობას მისი მონაწილენი). სპორტსმენები აქედანვე შეუდგნენ ვარჯიშს. კლდეზე მოძრაობა, საერთო ფიზიკური მომზადება, ტექნიკური და ტაქტიკური ხერხების დახვეწა-ათვისება — ასეთია მზადების ბოლო ეტაპის პროგრამა.

მაისის დღესასწაულის დღეებში „სუპერმარათონ 80“-ის წევრები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საკონტროლო-სამაშველო სამსახურის მუშაობაში, რომელიც დასავლეთ კავკასიონის რაიონში გაიმართება. აქ საბოლოოდ შემოწმდება ჯგუფის სამოგზაუროდ მზადყოფნა.

გაისად, 19 ივნისს, საბერძნეთში, ოლიმპიაში XXII ოლიმპიადის ჩირაღდანი აინთება და მოსკოვისკენ გაემგზავრება. იმავე დღეს, მყინვარწვერზე სპორტსმენები სამხრეთის მცხუნვარე მზის სხივებისგან აანთებენ „მცირე ოლიმპიურ ჩირაღდანს“ და სტარტი მიეცემა სამასკილომეტრიან ტრავერსს კავკასიონის ქედის გასწვრივ. მყინვარწვერზე ანთებულ ჩირაღდანს ტურისტები იალბუზისკენ წაიღებენ და მოსკოვში ოლიმპიადის გახსნის დღეს იგი კავკასიონის ჭალარა მწვერვალების თავზე აკიაფდება.

როგორც „სუპერმარათონ-80“-ის ორგანიზატორები ვარაუდობენ, ეს მოგზაურობა დიდი მოვლენა იქნება საქართველოს, და არა მხოლოდ საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში. იგი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ტურიზმის პროპაგანდის საქმეში.

ნ. ელბაქიანი,
საქართველოს სსრ ტურიზმის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

* * *

სურათზე: შოვი — აღმოსავლეთ ყარაუგომის ტურისტულ მარშრუტზე მოლაშქრეებს ასეთი ადგილების გადალახვაც უხდებოდათ.

ვ. სატალკინის ფოტო.





წლიდან წლამდე...

როდის მთავრდება ტურისტული სეზონი? თბილისის ტურისტულ კლუბში კვირიდან კვირამდე თავმოყრილი ცნობები ამ კითხვაზე ლაკონიურ პასუხს იძლევა — ტურისტულ სეზონს არა აქვს დასასრული. მართლაც, ჩვენში ბუნებასთან სიახლოვის მოყვარულთ რა გამოლევს. მათ წელიწადის ყოველ დროს შეხვდებით ტურისტულ ბილიკებზე, რადგან ყოველ დროს და ყოველთვეს თავისი განუმეორებელი მომხიბვლელობა და სილამაზე გააჩნია. სწორედ ეს არის მთავარი, რის გარეშეც ტურიზმი დაკარგავდა მნიშვნელობასა და შინაარსს. მაგრამ არის სხვა მოტივებიც, რომლებიც განსხვავებული ასაკისა და პროფესიის ადამიანებს მშობლიური ბუნების ტურისტული ბილიკებისკენ მიუძღვება. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელებისთვის, მაგალითად ეს არის სხვადასხვა კოლექტივების ურთიერთდაახლოება და დამეგობრება, შრომისა და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ფრონტზე მიღწეულ წარმატებათა გაცნობა-განზოგადება.

ამ რაიონის საწარმოთა 142 ახალგაზრდა ტურისტი მონაწილეობდა ახლახანს წოდორეთში ჩატარებულ ტურისტულ შეკრება-შეჯიბრებაში, რომელიც რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის (თავმჯდომარე ი. ბეზაშვილი) თაოსნობით მოეწყო. ღონისძიება მიეძღვნა საკავშირო კონკურს-დათვალიერებას, რომლის დევიზია „მშდ კომპლექსის ნიშნიდან — ოლიმპიურ მედლამდე“.

კონკურსი-დათვალიერება, როგორც ცნობილია, მიზნად ისახავს მასობრივ-ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობის, მშდ კომპლექსზე მუშაობის კიდევ უფრო ამაღლებას. ღონისძიება საინტერესოდ ჩატარდა. ტურისტებმა ჯერ ცალკეულ სახეობებში იასპარეზეს, შემდეგ კი კომპლექსის მრავალჭიდში მოსინჯეს ძალები. აქ ყველას აჯობეს თბილისის პურპროდუქტების კომბინატის წარმომადგენლებმა (ფიზკულტურის მეთოდისტი ი. ბოლიბეკოვი), II ადგილზე გავიდნენ ხორცკომბინატის ტურისტები (მეთოდისტი გ. ღარიბაშვილი), №1 მექანიკური ქარხნის კოლექტივს (მეთოდისტი დ. ნადირაშვილი) III ადგილი ხვდა წილად.

გამოვლინდნენ პირად პირველობაში გამარჯვებულნიც. ესენი არიან ხორცკომბინატის წარმოების ოსტატი გ. პაპუაშვილი, ფეხსაცმლის გაერთიანება „ისნის“ ფიზკულტურის მეთოდისტი რ. გოგოლაშვილი და პურკომბინატის საამქროს ოსტატი ა. დანელიანი, რომლებმაც შესაბამისად I, II და III ადგილები დაიკავეს. შემდეგ ჩატარდა საველე სემინარი ტურიზმში საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მომზადების პროგრამით.

თ. [illegible]

თაოსნობა

გორის რაიონის მებოსტნეობის სამეურნეობათაშორისო სათბურის მუშებმა და მოსამსახურეებმა, რომელთა შორის უმეტესობა ახალგაზრდობა იყო, ტურისტული ლაშქრობა მოაწყვეს იკორთაში. ლაშქრობას ფიზკულტურის ინსტრუქტორი მ. სირბილაძე ხელმძღვანელობდა.

ამ ღონისძიების მიზანი საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობათა შემოწმება, ნორმატივების ჩაბარება და ისტორიული ძეგლის შემოგარენის დასუფთავება გახლდათ.

ტურისტებმა მიზანი შეასრულეს.

სასათბურო მეურნეობის ახალგაზრდებმა იკორთაზე შეფობა ივალდებულეს. ისინი პერიოდულად [illegible] აქაურობას და გარკვეულ სარესტავრაციო სამუშაოებს შეასრულებენ.

ი. თე[illegible]ორაშვილი,
(ჩვენი კორ.).

ვითარება დაიძაბა

გადადებული პარტიების გუშინწინდელმა დამთავრებამ (შედეგები იხ. „ლელოს“ 25 დეკემბრის ნომერში) შესამჩნევად დამუხტა ბრძოლა სსრ კავშირის 1979 წლის ჩემპიონის სახელისათვის. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია დასკვნითი 3 ტურის შეხვედრებზე.

ჩემპიონობის მთავარი კანდიდატები არიან ი. ლევიტინა — 10,5 ქულა, ნ. ალექსანდრია — 10, მ. ჩიბურდანიძე — 9 (1) და ნ. გაფრინდაშვილი — 9.

ლიდერები ასე განალაგა გადადებული პარტიების დამთავრებამ. ქვემოთ სწორედ მათს პარტიებზე მოგახსენებთ.

სამი პარტია ჰქონდა სათამაშო ჩიბურდანიძეს, დანარჩენებს — თითო. გაფრინდაშვილი დაუზავდა ვ. კოზლოვსკაიას (5,5). ლევიტინამ მოუგო ც. კობაიძეს (3,5), რომელმაც ვერ გამოიყენა ყაიმის შანსი ეტლების დაბოლოებაში. ალექსანდრიას მხედრების უარესი ენდშპილი ჰქონდა ლიტინსკაიასთან. იგი თავგამოდებით თამაშობდა, მაქსიმალურად უძნელებდა მეტოქეს უპირატესობის რეალიზაციას. ბოლოს ლვოველმა დიდოსტატმა მიაგნო მოგების გეგმას და 99-ე სვლაზე გაიმარჯვა კიდეც. ეს იყო ჩემპიონატის ყველაზე მრავალსვლიანი პარტია.

დილით ჩიბურდანიძემ თამაში განაახლა ე. ფატალიბეკოვასთან პოზიციაში, რომელიც „ლელოს“ 20 დეკემბრის ნომერშია დასტამბული. ამ პოზიციამ დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ფატალიბეკოვა ახალი ლაზიერის „გაცოცხლებით“ იმუქრებოდა. მაიამ მოგების საინტერესო გზას მიაგნო და გაიმარჯვა. აი, ამ პარტიის დაბოლოება:

ჩიბურდანიძე: მფb2, ლd2, მf2, პპ. b3, c2, e5, f4, g5.

ფატალიბეკოვა: მფh7, ლh2, კg2, პპ. e6, f7, g7, h3.

41. g6+ (ჩაწერილი სვლა) 41. ...fg 42. მe4 g5 43. მ:g5+ მფg6 44. ლd3+ მფh5 45. ლe2+ მფg6 46. ლg4 ლh1 47. მ:e6+ მფf7 48. f5 ლe1 49. ლ:g7+ მფe8 50. ლf8+ მფd7 51. ლd6+ შავები დანებდნენ.

სალამოს ჩიბურდანიძემ შეხვედრა განაახლა ბელავენეცთან. ორი პაიკის ნაკლებობა ძალიან იგრძნობოდა და, შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, წაგებას შეურიგდა. მერე ჩიბურდანიძემ განაგრძო ბრძოლა ა. გრინფელდთან. ამ პარტიაში მსოფლიო ჩემპიონის მცირე პოზიციური უპირატესობის რეალიზება შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ ჩიბურდანიძემ ლაზიერისა და მხედრის მანევრებით დააბნია მეტოქე, რომელიც დროის ნაკლებობასაც განიცდიდა, და პაიკი მოიგო. ეს უკვე ხელშესავლები უპირატესობაა და მის გამოყენებას აუჩქარებელი და დაკვირვებული თამაში სჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ გრინფელდმა ტაქტიკური ბრძოლის შესაძლებლობა მიიღო. ჩიბურდანიძემ თამაში ლაზიერების მოსაგებ ენდშპილში გადაიყვანა, მაგრამ პარტიის დამთავრება ვერ მოასწრო. სათამაშო დრო ამოიწურა და პარტიაც გადაიდო.

შეგახსენებთ, რომ ბოლოსწინა, XVI ტური დღეს ჩატარდება, 27 დეკემბერს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, 28-ში დასკვნითი, XVII ტურია. 29 დეკემბერს ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურება.

ЧЕМПИОНАТ СОВЕТСКОГО СОЮЗА ПО ШАХМАТАМ

უმაღლესი ლიგა

გუშინ

გაიმართა XV ტური. ლევიტინამ მოუგო მინოგინას, ვორონოვა — გაფრინდაშვილისა და კობაიძე— ფატალიბეკოვას პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

15 ტურის შემდეგ გათამაშებას კვლავინდებურად ლიდერობს ლევიტინა — 11,5 ქულა. ალექსანდრიას 10 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, გაფრინდაშვილს — 9,5, ჩიბურდანიძეს — 9 (2).

დღეს გაიმართება ბოლოსწინა, XVI ტური. დიდ ინტერესს იწვევს ალექსანდრია — ახმილოვსკაიას, ხემიონოვა — ლევიტინას, გაფრინდაშვილ — კობაიძისა და მუჩნიკ — ჩიბურდანიძის შეხვედრები.



ნ. ალექსანდრია.



ლ. ბელავენეცი.

შ. შანიძის მეგობრული შარჟები.

დღეს დასკვნითი შეხვედრებია

სსრ კავშირის ქალთა 47-ე ჩემპიონატის ბოლოსწინა, XVI ტურმა, რომელიც გუშინწინ გაიმართა, აშკარა გახადა, რომ ჩემპიონის ოქროს მედალზე პრეტენზიას ფაქტიურად ორი კანდიდატი აცხადებს: ე. გელერი — 11 ქულა და ა. იუსუპოვი — 9 ქულა და 2 გადადებული პარტია.

გუშინწინდელ ტურში გელერი დაუზავდა ვ. კუპრეიჩიკს, 20 წლის იუსუპოვმა კი თ. გიორგაძეს მოუგო. ახლა ბევრია დამოკიდებული იუსუპოვის გადადებული პარტიების შედეგებზე ვ. ცეშკოვსკისთან და მ. ტალთან და, რა თქმა უნდა, დასკვნით, XVII ტურში მის შეხვედრაზე ლერნერთან და გელერისას — ბალაშოვთან.

ბრინჯაოს მედალს უმიზნებს ბალაშოვი (9,5), რომელიც ნ. რაშკოვსკის დაუზავდა. მას შეიძლება კონკურენცია გაუწიონ რ. ვაჰანიანმა, ს. მაკარიჩევმა, გ. კასპაროვმა — 8,5-8,5 (1-1), ვ. კუპრეიჩიკმა — 8,5, თ. გიორგაძემ და ო. რომანიშინმა — 8-8 (1-1). მ. ტალის პრეტენზიაც არ არის გამორიცხული, რადგან მას 7 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

ამ მოჭადრაკეებმა XVI ტურში ასე ითამაშეს: რომანიშინმა დაამარცხა ბელიავსკი, მაკარიჩევი დაუზავდა ი. ანიკაევს. დაუმთავრებელი დარჩა ი. რაზუვაევ — ვაჰანიანის, სვეშნიკოვ-ტალის, კასპაროვ — ს. დოლმატოვისა და ცეშკოვსკი — ლერნერის შეხვედრები.

გუშინ ჩემპიონატში გადადებულ პარტიებს ამთავრებდნენ, დღეს კი დასკვნითი, XVII ტური შედგება.

1980 წლის 1 იანვრამდე

სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო იუწყება, რომ მიმდინარეობს ფულისა და ნივთების სპეციალური ოლიმპიური ლატარიის — „სპრინტის“ 2 მილიონი ღირებულების „ჩე“ სერიის ბილეთების გაყიდვა. ბილეთების ღირებულება 1 მანეთია, მოგებათა ფონდი — 1 მილიონი მანეთი.

335526 მოგებათა შორის 20 მსუბუქი ავტომანქანაა, მათ შორის: „ვოლგა გაზ-24“—2, სხვადასხვა მოდიფიკაციის „ჟიგული“— 10, „მოსკვიჩ—412-იე“ — 4, „ზაპოროჟეცი 968“ — 4.

ლატარიაში თამაშდება ფულადი მოგებები 5-დან 10000 მანეთამდე. ყველაზე მცირე მოგებაა — „სპრინტის“ ლატარიის ბილეთის განმეორებით ყიდვა.

25 მანეთამდე ჩათვლით მოგებები ანაზღაურდება ბილეთების გამავრცელებლების მიერ ადგილზე. 50 მანეთის და ზევით მოგებები შეგიძლიათ მიიღოთ ცენტრალურ და I თანრიგის შემნახველ სალაროებში „ჩე“ სერიის ბილეთების რეალიზაციის ადგილზე.

პირებს, რომლებსაც „კშჩ“ და „შჩლ“ წინა სერიების 25 მანეთამდე მოგებული ბილეთები აქვთ — შეუძლიათ მიიღონ ფული ან გადაცვალონ „ჩე“ სერიის ბილეთებზე, ამასთან „კშჩ“ და „შჩლ“ სერიის ბილეთების გადაცვლა იწარმოებს მხოლოდ 1980 წლის 1 იანვრამდე.

მონაწილეობა მიიღეთ „სპრინტის“ ფულისა და ნივთების ოლიმპიურ ლატარიაში!

საქსპორტლოტო.

● ფარიკაობა

დამატებით შეხვედრაში

ფრუნზეში გრძელდება სსრ კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში. ქალთა შორის საპატიო პრიზის მფლობელის ბედი მოსკოველი ვალენტინა სიდოროვასა და ყაზანელი ვალენტინა ნიკონოვას დამატებით შეხვედრაში გადაწყდა. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვა დედაქალაქელმა სპორტსმენმა და თასი დაისაკუთრა. ამ ორთაბრძოლამდე მეტოქეებმა ფინალში 3-3 გამარჯვება მოიპოვეს.

ოლიმპიურ მერიდიანზე

გრძელდება წინასაოლიმპიადო შესარჩევი ტურნირები ფეხბურთში.

იტალიის ნაკრებმა რომში მოუგო იუგოსლავიის გუნდს (II ევროპის ჯგუფი) —1:0. გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ჯორდანომ.

ალჟირელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე განმეორებითი საპასუხო მატჩი მოუგეს მაროკოს ნაკრებს — 3:0.

ფრედ ითამაშეს ეგვიპტისა და მადაგასკარის ფეხბურთელებმა — 1:1. ვინაიდან ამ გუნდების პირველ შეხვედრაშიც ასეთივე ანგარიში აღინიშნა, დაინიშნა დამატებითი პენალტები. აქ წარმატება წილად ხვდათ ეგვიპტელებს — 4:3.

● ფეხბურთი

ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

ინგლისი

ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი პირველი წრის მიწურულში ფაქტიურად „ლივერპულისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დუელად იქცა.

XX ტურში „ლივერპულმა“ მიიღო პირველ ლიგაში დაბრუნებული „კრისტალ პალასი“ (ლონდონი). მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო — 3:0. ბურთები გაიტანეს კეისმა, დალგლიშმა და მაკდერმოტმა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სტუმრად გაიმარჯვა „კოვენტრი სიტისთან“ — 2:1. გამარჯვებულთაგან წარმატებას მიაღწიეს შოტლანდიელებმა მაკკინმა და მაკარიმ.

ტურის სხვა მატჩები: „ბოლტონ უონდერერსი“ — „იფსვიჩ თაუნი“ 0:1, „ბრაიტონ ალბიონი“ — „სტოკ სიტი“ 0:0, „ლიდს იუნაიტედი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 3:0, „მანჩესტერ სიტი“ — „დერბი ქაუნთი“ 3:0, „ნორვიჩ სიტი“ — „ბრისტოლ სიტი“ 2:0, „საუთჰემპტონი“ — „ევერტონი“ 1:0, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „ასტონ ვილა“ 1:2, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „არსენალი“ 2:2.

XX ტურის შემდეგ 28 ქულით და ერთი გამოტოვებული მატჩით I ადგილზეა „ლივერპული“, ამდენივე ქულა აქვს „მანჩესტერ იუნაიტედს“, 23-23 მოაგროვეს ლონდონის გუნდებმა „არსენალმა“ და „კრისტალ პალასმა“.

ავსტრია

დამთავრდა ჩემპიონატის ნახევარი. დარჩა მხოლოდ ერთი გამოტოვებული მატჩი ვენის კლუბებს „აუსტრიასა“ და „რაპიდს“ შორის, მაგრამ ამის მიუხედავად „აუსტრიამ“ მაინც გაინაღდა პირველი ადგილი.

ახლა „აუსტრიას“ 17 თამაშიდან 23 ქულა აქვს „ლინცერ ასკ“-სა და „გრაცერ აკ“-ს — 18 თამაშიდან 23-23 ქულა.

სნაიპერთა შორის 20 ბურთით წინ არის შახნერი (ვენის „აუსტრია“), 12 ბურთი გაიტანა ზანგმა ფეხბურთელმა კეგელბერგერმა („ლინცერ ასკ“).

საფრანგეთი

XXI ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერი — „მონაკო“ და II ადგილზე მყოფი „ნანტი“. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „მონაკომ“, რომელიც ახლა ლიდერობს 33 ქულით. „ნანტი“ მეორეზეა (29 ქულა). „სენტ-ეტიენს“ 28 ქულა აქვს.

გფრ

დასრულდა პირველი წრე, გამოცხადდა შესვენება 19 იანვრამდე. წლის უკანასკნელ, XVIII ტურამდე თანაბარი შედეგებით მოვიდნენ „ჰამბურგი“ და „ბაიერნი“, ამასთან ჰამბურგელებს ბურთების უკეთესი სხვაობა ჰქონდათ. პირველი ადგილის ორივე პრეტენდენტი სტუმრად გამოდიოდა.

„ბაიერნი“ თამაშობდა ბრაუნშვაიგში ადგილობრივ „აინტრაჰტთან“. ფრე — 1:1. ტრავმა მიიღო „ბაიერნის“ წამყვანმა ფეხბურთელმა ბრაიტნერმა, გელზენკირხენში „შალკე 04“-მა ცენტრალური მცველის რიუსმანის მიერ გატანილი ერთადერთი ბურთის წყალობით სძლია „ჰამბურგს“.

ტურის სხვა მატჩები: „ვერდერი“ — „ბოხუმი“ 2:0, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) 0:0, „შტუტგარტი“ — „ჰერტა“ 5:0, „ფორტუნა“ — „დუისბურგი“ 1:0, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „კაიზერსლაუტერნი“ 6:2, „მიუნხენ 1860“ — „აინტრაჰტი“ (მაინის ფრანკფურტი) 2:1, „ბაიერნი“ (უერდინგენი) — „კიოლნი“ 1:3.

ამრიგად, პირველი წრის შემდეგ 24 ქულით წინ არის „ბაიერნი“. მას ერთი ქულით ჩამორჩება „ჰამბურგი“, 22-22 ქულა აქვთ „კიოლნსა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“.

●

„ოქროს ბურთი“ —კევინ კიგანს

პარიზი, 25 დეკემბერი. ინგლისის ნაკრების კაპიტანი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კლუბის „ჰამბურგის“ ფორვარდი კევინ კიგანი საფრანგეთის ყოველკვირეული ჟურნალის „ფრანს-ფუტბოლის“ გამოკითხვის შედეგად დასახელებულია ევროპის 1979 წლის საუკეთესო ფეხბურთელად.

28 წლის კ. კიგანი ზედიზედ მეორე წელია ხდება „ოქროს ბურთის“ მფლობელი. ახლანდელ გამოკითხვაში მან მიიღო 118 ქულა. მეორე ადგილზეა კარლ-ჰაინც რუმენიგე („ბაიერნი“, მიუნხენი, გფრ.). — 52 ქულა, მესამეზე — რუუდ კროლი („აიაქსი“, ამსტერდამი, ჰოლანდია) —41 ქულა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტ[illegible] მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორ[illegible]ორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 13606